საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ალექსანდრე კობაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**70**	**100**

სახელი, გვარი:

თარიღი : 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის #1/4 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატი ალექსანდრე კობაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების	☒	1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**

კრიტერიუმს		მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ალექსანდრე კობაიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმების ნაწილი კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. თუმცა, რამოდენიმე (სამი) ჯარიმა გადაუხდელია. ალექსანდრე კობაიძის რეკომენდატორი და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთილსინდისიერებაზე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს/სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, აქვს მიმდინარე სესხი, რომელზეც აქვს ბევრი ვადაგადაცილება და ჯარიმა. ამდენად, მის მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულება ვერ შეფასდება ჯეროვან და კეთილსინდისიერ შესრულებად. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შესაბამისობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. გარდა ამისა, უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის ასახული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა განმარტა, რომ

		გაპარულია ტექნიკური ხარვეზი და ყურადღება არ გაამახვილა. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო აღელვებული, უჭირდა საკუთარი თავის და ემოციების მართვა. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორი და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, ობიექტურს, სამართლიანსა და მიუკერძოებელს. კანდიდატი 2014 წლის არჩევნებში იყო ქ. რუსთავის მერობის კანდიდატი - პოლიტიკური პარტია „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა". ამასთანავე, არის პოლიტიკური პარტიის „ხალხის პარტია" დამფუძნებელი/წევრი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ მისი საჯარო მოსმენის

		დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „ფეისბუქ“ გვერდზე ალექსანდრე კობაიძის მისამართით არაერთმა მოქალაქემ გააკეთა ნეგატიური კომენტარი. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. ალექსანდრე კობაიძე 21 სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეში მონაწილეობს მხარედ. რეკომენდატორი და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ გამოირჩევა პიროვნული და პროფესიული ქცევის მაღალი სტანდარტით. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი გადამეტებულად ემოციური და თავშეუკავებელია, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა არ შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. კანდიდატი მრავალი წელია ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ალექსანდრე კობაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მისი პოლიტიკური საქმიანობისა და საადვოკატო საქმიანობის შესახებ.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი სათანადოდ იცნობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროს ცალკეულ პრობლემებს. გამართული საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას ალექსანდრე კობაიძემ სათანადოს ვერ გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნა. გასაუბრებისას კანდიდატის მსჯელობა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე ძირითადა იყო მცდარი, სრულყოფილად ვერ იმსჯელა აბსოლუტური უფლებების შესახებ; მან ვერ უპასუხა, თუ, რამდენი მუხლისაგან შედგება საქართველოს კონსტიტუცია; ვერ დაასახელა, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რომელი განმარტებებია სავალდებულო ძალის მქონე; აბდენდა სამართლებრივი ტერმინების აღრევას და სხვა. ჩანს, რომ არ ეცნობა ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა არ არის დამაკმაყოფილებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

			მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. ჩანს, რომ მას შეუძლია წერილობით მსჯელობა. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით კანდიდატს გაუჭირდა თანმიმდევრულად განევითარებინა სამართლებრივი მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე. გასაუბრების პროცესში სამართლებრივ კითხვებს ძირითადად ვერ გაართვა თავი. კანდიდატი პერიოდულად აღნიშნავდა, რომ ვერ გაიგო კითხვის არსი. საჯარო მოსმენის შემდეგ მივიჩნევ, რომ კანდიდატს, არ შესწევს უნარი სწორად და სრულად შეაფასოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი ძლიერ ღელავდა. უჭირს აზრის თანმიმდევრულად ჩამოყალიბება, არ გააჩნია განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებობის სათანადო უნარი.
პროფესიული თვისებები	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, აქვს გუნდურად მუშაობის უნარი.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ალექსანდრე კობაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლის სფეროში რამოდენიმე ტრენინგსა და სემინარში სხვადასხვა მიმართულებით. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.
პროფესიული აქტივობა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერი) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	70	100	

თარიღი : 29.04.2024

ხელმოწერა: